დადგენილება № 05/2025 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების ცვლილების პროექტის მიღებისა და საქართველოს კულტურის სამინისტროსთვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ

დადგენილება № 05/2025

თარიღი: 28 ივლისი, 2025 წელი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 8^4 მუხლის „ბ“ პუნქტის, მე- 18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ემუხლის მე-3

ნაწილის, 57-ე , 63-ე და 100-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 49-ე მუხლის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ბაქრაძის 2025 წლის 25 ივლისის მომართვისა და კონსერვატორიის წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების გაერთიანებული სხდომის 2025 წლის 28 ივლისის № 03 ოქმის საფუძველზე,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. მიღებული იქნეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების ცვლილების შემუშავებული პროექტი თანდართული სახით;

2. სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების ცვლილების პროექტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს კულტურის სამინისტროს.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი